

ქეთევან ჯაში

თარგმანის
პრაქტიკული
კურსი

თბილისი 2006

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, ვისაც სურს დაეუფლოს თარგმნის თეორიული კურსის პრაქტიკული რეალობების მეთოდებს. დღეს თარგმანს დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოს, რომელშიც საქართველო იმყოფება. მისი გეოგრაფიული მდებარეობა აძლიერებს იმ აუცილებლობას, რასაც უცხო ქვეყნებთან კონტაქტი ჰქვია. საქართველოს მიმართ ინტერესი სულ უფრო იზრდება. სულ უფრო მეტად ფეხს იკიდებს ტურიზმი, რაც შედარებით სტაბილური მდგომარეობით აიხსნება.

მოთხოვნა თარგმნისა და მთარგმნელებზე იზრდება. სწორედ ამისათვის, აუცილებელია კვალიფიციური კადრების მომზადება. ამ სახელმძღვანელოს დანიშნულებაა ასწავლოს სტუდენტებს თარგმნის ნიუანსები. დააუფლოს სხვადასხვა ტერმინოლოგიას. ასწავლოს მთელი რიგი გამოთქმები პოლიტიკური, ეკონომიკური და იურიდიული სფეროდან. ეს გამოთქმები მოცემულია სავარჯიშოებში. ეს თავისთავად გაამყარებს იმ მასალას, რომელთა განხილვაც ხდება ცალკეულ ტექსტებში და მდიდარია ლექსიკური თვალსაზრისით.

ვიმედოვნებთ, რომ მოცემული სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს ყველა დაინტერესებულ პირს. ყველას, ვისაც სურს დაეუფლოს ან გაიღრმავოს თავისი პრაქტიკული ცოდნა მთარგმნელობით სფეროში.

ფონდი „**ლინგვა პლუსი**“

ISBN 9940-23-71-3

თარგმნის პრაქტიკული კურსი

თარგმნა ნიშნავს გამოხატო ზუსტად და სრულყოფილად ერთი ენის საშუალებების მიერ ის, რაც უკვე გამოხატულია სხვა ენის მეშვეობით, ისე რომ არ დაირღვეს ფორმისა და შინაარსის მთლიანობა. (ფეოდოროვი - შესავალი თარგმნის თეორიაში, 1958, გვ. 11). ყოველთვის როდესაც მოხდება ფორმის ან შინაარსის დარღვევა, ეს გამოიწვევს ძალიან უხეში შეცდომის დაშვებას. ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ საუკეთესო საშუალებაა სიტყვასიტყვითი თარგმანი, რადგან სხვადასხვა ენებს განსხვავებული ენობრივი სისტემები გააჩნიათ. ასეთი ტიპის თარგმანი ყოველთვის როდია შესაძლებელი. მთარგმნელმა თავი უნდა აარიდოს, როგორც უხეში შეცდომის დაშვებას, ისე სიტყვასიტყვით თარგმნას.

სწორი თარგმანის განხორციელება შეიძლება ორიგინალის სწორი გაგების შემთხვევაში. თუმცა ორიგინალის სწორი გაგება, როდი ნიშნავს სწორედ თარგმნას. განსაკუთრებული სირთულე ჩნდება მაშინ, როდესაც უნდა მოხდეს ორი ენის ელემენტებს შორის შესიტყვების მოძებნა. ძალიან ხშირად, თავს იჩენს ისეთი პრობლემები, როდესაც შინაარსი სათარგმნი ტექსტის გასაგებია, მაგრამ ძალიან ძნელია მისი გამოხატვა სხვა ენაზე, ანუ ძნელია მოიძებნოს ენათშორისი შესიტყვება. ამიტომ, რომ თარგმნის სწავლებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს მზა ენათშორისი შესიტყვების სწავლებაზე და ჩვევის გამომუშავებაზე, მოიძებნოს ეს შესატყვისები, თუ ისინი არ არსებობს.

ის, რომ თარგმანი შესაძლებელია, მეტყველებს იმაზე, რომ ორი ენის ელემენტებს შორის შესაძლებელია არსებობდეს სრული შესატყვისი. ამა თუ იმ კონტექსტში ორი ენის ელემენტები ფუნქციურად შეესიტყვება ერთმანეთს იმ ეკვივალენტების სახით, რომლებიც თარგმნისას გამოიყენება.

ენობრივ ელემენტებს, კონტექსტის მიუხედავად სხვა ენაში შეიძლება მუდმივი ეკვივალენტები ჰქონდეს. მუდმივი ეკვივალენტებია სპეციალური ტერმინები, სიტყვა - რეალიები, საყოფაცხოვრებო სიტყვები ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობით. ყველა შემთხვევაში კონტექსტი განსაზღვრავს სიტყვის მნიშვნელობას.

კონტექსტი - ესაა მეტყველების მონაკვეთი, რომელიც აუცილებელია სიტყვათა მნიშვნელობის გასაგებად და შესარჩევად. მოცულობის მიხედვით ის სხვადასხვანაირია. ძალიან ხშირად ეკვივალენტები შეიძლება განსხვავდებოდეს როგორც ლექსიკის ისე გრამატიკის დონეზე.

სიტყვის შერჩევა თარგმნის დროს

ორი ენის სიტყვებს შორის შეიძლება არსებობდეს შემდეგი ურთიერთმიმართება:

ა) მოცემულ სიტყვას მეორე ენაში ყოველთვის ერთი ვარიანტი შეესაბამება. ასეთ ურთიერთმიმართებას ეწოდება მუდმივი ეკვივალენტი. მაგალითად: Organisation des Nations Unies – O.N.U.-გაერო.

ბ) მოცემულ სიტყვას შეიძლება შეესაბამებოდეს სხვა ენაში მთელი რიგი კონტექსტუალური ეკვივალენტები, რომელთა უმეტესობაც შეიძლება არ იყოს დაფიქსირებული ლექსიკონში. მაგალითად: suffrage - საარჩევნო ხმა, მოწონება

გ) მოცემულ სიტყვას არ გააჩნია შესატყვისი სხვა ენაში. ამ შემთხვევაში მოცემულია არა თარგმანი, არამედ ახსნილია სიტყვის მნიშვნელობები. მაგალითად: désistement - საკუთარი კანდიდატურის მოხსნა სხვის სასარგებლოდ.

თარგმნისას ეს სამივე ტიპი ქმნის გარკვეულ სირთულეებს. პირველ შემთხვევაში მთარგმნელმა უნდა იცოდეს მუდმივი ეკვივალენტი. უნდა ეყრდნობოდეს საკუთარ მეხსიერებას. ხშირად მას არ აქვს უფლება თვითნებურად შეცვალოს მოცემული ტერმინის

არსებული ეკვივალენტი საკუთარი თარგმანით. მუდმივი ეკვივალენტები ხშირად გამოიყენება ტერმინების, რეალიების, სხვადასხვა საგანგებო ლექსიკის მყარი შესიტყვებების სათარგმნელად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკვივალენტების გამოყენებას სიტუაციის მიხედვით. ხშირად უარი უნდა ვთქვათ სიტყვასიტყვით თარგმანზე, მაშინაც კი როდესაც ის არ ეწინააღმდეგება თარგმნის ენის შინაარსს, იმის გამო, რომ ენის მატარებლები სხვა ფორმას გამოიყენებენ მოცემულ სიტუაციაში.

მეორე შემთხვევაში მთარგმნელის წინაშე სხვა ამოცანა დგას. უნდა შეარჩიოს ის ეკვივალენტი, რომელიც მოცემულ კონტექსტში უფრო შესაფერისია.

მესამე შემთხვევაში, მთარგმნელ-თარჯიმანმა თვითონ უნდა მოძებნოს ეკვივალენტი, რისთვისაც მან ზუსტად უნდა იცოდეს ცნების შინაარსი, რომელიც გამოხატულია სათარგმნი სიტყვით. ამგვარად ხდება ტერმინების, რეალიების, ნეოლოგიზმების თარგმნა, რომლებიც არაა დაფიქსირებული ლექსიკონებში, რომლითაც სარგებლობს მთარგმნელი, ანდა რომლებსაც არა აქვს თარგმნის ენაში შესატყვისი.

სათარგმნი სიტყვის პოლისემანტურობა და ომონიმია. სათარგმნი სიტყვას შეიძლება მრავალი მნიშვნელობა ჰქონდეს, რომლებიც შეიძლება სათარგმნი ენაში გადმოიცეს სინონიმების მთელი რიგით. იმისათვის, რომ სწორედ ითარგმნოს სიტყვა, უნდა განისაზღვროს სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტში, შემდეგ გაკეთდეს არჩევანი სინონიმებს შორის. ხშირად, ორენოვან ლექსიკონებში არაა მოცემული ყველა მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ განმარტებით ლექსიკონს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ლექსიკონი იძლევა საჭირო მნიშვნელობას, მაგრამ არც ერთი მათგანი არ უხდება მოცემულ კონტექსტს, მაშინ მთარგმნელი ან თარჯიმანი თვითონ ეძებს საჭირო სინონიმს, ეყრდნობა ენის საკუთარ ცოდნას. არც თუ იშვიათია, რომ სიტყვის მოცულობის მიხედვით სხვადასხვა ენების სიტყვები განსხვავდებიან. ბევრ ფრანგულ სიტყვას გააჩნია ფართო სემანტიკა, რომელიც მოიცავს მთელ რიგ სიტყვათა მნიშვნელობებს. ამ შემთხვევაში თარგმნისას გვიხდება სიტყვათა მნიშვნელობების კონკრეტიზირება.

ფრანგული ენის ერთეულში სიტყვა კარგავს დამუკიდებელ მნიშვნელობას და ითარგმნება მთელი გამონათქვამის შემადგენლობაში.

სიტყვა, რომლის პირდაპირი მნიშვნელობა ემთხვევა, სხვადასხვა ენებში შეიძლება არ დაემთხვეს გადატანითი მნიშვნელობით ხმარების დროს. მაგალითად: *vif* ნიშნავს მკვირცხლს, ხოლო *vifs applaudissements* - ში იგი ითარგმნება, როგორც მხურვალე აპლოდისმენტები.

სრული მნიშვნელობის მქონე და დამხარე სიტყვები. ხშირად სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვებს უსუსტდებათ ძირითადი მნიშვნელობა და ისინი გარდაიქმნება დამხმარე ელემენტებად, რომლებიც განსაზღვრავს და აკავშირებს სხვა სიტყვებს. ყველაზე ხშირად სუსტდება ზმნების მნიშვნელობა. მაგალითად: *Il faut connaître bien ses amis. Cette réunion a connu un grand succès. Ce projet a connu pas mal de difficultés.* სამივე წინადადება სხვადასხვანაირად თარგმნის ფრანგულ ზმნას.

მორფოლოგიური თავისებურებანი და სიტყვათა სინტაქსური კავშირები. ეს თავისებურებანი სხვადასხვანაირია და შეუძლიათ ასახონ სიტყვათა მნიშვნელობებში ცვლილებები. ასე მაგალითად, არსებითი სახელი ფრანგულ ენაში იცვლის მნიშვნელობას სიტყვის რიცხვის მიხედვით. ზედსართავი სახელი არსებით სახელთან მიმართებაში ადგილის მიხედვით, ხოლო ზმნა, პირდაპირი დამატების ქონება, არ ქონების მიხედვით.

სიტყვას გააჩნია სტილისტური თავისებურებანი. ეს თავისებურება შეიძლება იყოს ნეიტრალური, დადებითი და უარყოფითი. სტილისტური თავისებურების გადმოცემა აუცილებელია პოლიტიკური ტექსტების თარგმნისას. სხვათა შორის, მსგავსი მნიშვნელობების სიტყვების სტილისტური შეფერილობა ყოველთვის როდი ემთხვევა. ხშირად ფრანგულში ერთ სიტყვას შეესაბამება ქართულ ენაში ორი ან რამდენიმე სიტყვა, რომლებიც სხვადასხვა სტილისტური შეფერილობით ხასიათდება.

მთარგმნელი ვალდებულია კარგად შეისწავლოს შეპირისპირებით პლანში არა ცალკეული სიტყვები, არამედ სიტყვათა მთელი რიგი, რომელთაც მსგავსი მნიშვნელობები გააჩნიათ(სინონიმური რიგები). ამის ცოდნა აუცილებელია, რადგან თარგმნისას უნდა გათვალისწინებულ იქნას მთელი რიგი ნიუანსები. რომელი სიტყვა უნდა ჩაისვას და რა კონტექსტში.

თარგმნის გრამატიკული საკითხები. თარგმნისას გრამატიკულ ჩანაცვლებას ისევე ხშირად მივმართავთ, როგორც ლექსიკურს. გრამატიკული ჩანაცვლება აუცილებელია: 1)იმ კატეგორიების გამოსახატავად, რომლებიც არ არსებობს სათარგმნ ენაში; 2) თარგმანში ისეთი კატეგორიების გამოსაყენებლად, რომლებიც არ არსებობს დედანში; 3)ორ ენაში, თუ განსხვავდება ერთი და იმავე კატეგორიების ფორმები სხვადასხვა სტილისტურ ნორმების გამოყენების მიხედვით.

განსხვავება არსებობს სიტყვათა მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით.

მაგალითად სიტყვის რიცხვის შეცვლა. Dans le cadre de l'ONU - გაეროს ფარგლებში. ფრანგულ და ქართულ ენებში განსხვავება მეტყველების ნაწილების გამოყენების მიხედვით გამოიხატება იმ შემთხვევაში, თუკი ინფინიტივს ჩავანაცვლებთ არსებითი სახელით. მაგალითად: La grande tâche des partisans de la paix est de lutter pour l'interdiction de l'arme nucléaire - ბრძოლა ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ, მშვიდობისმომხრეთა მნიშვნელოვანი ამოცანაა. სხვადასხვა ენაში არსებობს წინადადების აზრობრივი ცენტრის გამოყოფის სხვადასხვა საშუალება. ქართულ ენაში შეიძლება სიტყვა ჩანაცვლებულ იქნას სიტყვათა რიგით.

სინტაქსის სფეროში განსხვავება ვლინდება იმით, რომ პირდაპირ დამატებას ერთ ენაში შეესაბამება ირიბი დამატება. მაგალითად: Rien ne peut empêcher le mouvement de libération nationale - ვერაფერი ხელს ვერ შეუშლის ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას. ან კიდევ, ერთ ენის წინადადების ერთი წევრი მეორე ენაში შეიძლება გადმოიცივს გამოთქმით, დამოკიდებული წინადადებით ანდა დამოუკიდებელი წინადადებით.

განსხვავება სიტყვათა რიგის მიხედვით. ფრანგულ ენაში პირდაპირ რიგს, შეიძლება ქართულ ენაში ინვერსია შეესაბამებოდეს.

წინადადების აზრობრივი ცენტრი. თარგმნისას მნიშვნელოვანია იცოდეთ წინადადების აზრობრივი ცენტრის გამოყოფა, რომელიც გამონათქამის ბირთვს შეიცავს, ეს ის ახალი ინფორმაციაა, რომელსაც გამოხატავს წინადადება. წინადადების ერთი და იმავე სინტაქსური სტრუქტურის დროს აზრობრივი ცენტრი შეიძლება იყოს სხვადასხვა. ლოგიკური გამოყოფის საშუალებებია ლოგიკური მახვილი და გამომყოფი ნაწილაკები: „ეს, სწორედ ეს“ და ა.შ. ფრანგულ ენაში აზრობრივი ცენტრის გამოსაყოფად გამოიყენება: ა) განუსაზღვრელი არტიკლი, რომელიც გამოხატავს იმას, რომ მოცემული ცნება ახალია და უცნობი. მაგალითად: Un vote a eu lieu après les débats - დებატების შემდეგ ჩატარდა კენჭისყრა.

ბ)გამომყოფი კონსტრუქციები; გ)სიტყვათა რიგი. გამოსაყოფი სიტყვა დაისმის ბოლოში; თუმცა ფრანგულ ენაში, სადაც დაცულია წინადადების პირდაპირი რიგი, ყველა წევრი როდი შეიძლება დაისვას წინადადების ბოლოში. მაგალითად, ქვემდებარე შეიძლება მოსდევდეს ზმნას თუ ეს უკანასკნელი გარადევალა ანდა უკუქცევითი. თუ ზმნა გარდამავალია, ბოლოში შეიძლება იდგას მხოლოდ დამატება. ფრანგული ენის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს ის ტენდენცია, რომ გამოიყენოს უსულო არსებითი სახელი ქვემდებარის როლში. ქართულში ასეთი სახელი უმეტესად ასრულებს დამატების ანდა გარემოების როლს. მაგალითად: Cette catastrophe a fait trois morts - კატასტროფის შედეგად დაიღუპა 3 მგზავრი.

საგაზეთო მასალის სტილისტური თავისებურებანი. საზოგადოებრივ - პოლიტიკური მასალები საკმაოდ მრავალფეროვანია, როგორც სტილიტური ისე ჟანრობრივი თვალსაზრისით. ისინი შეიძლება დავეყთ სამ ჯგუფად: დოკუმენტურ - საქმიანი მასალები (კონსტიტუცია და საკანონმდებლო აქტები, პარტიის წესდება, დიპლომატიური დოკუმენტები - ნოტები, დეკლარაციები, კომიუნისე, ხელშეკრულებები და სხვა); საინფორმა-

ციო - აღწერითი მასალები(საინფორმაციო შენიშვნები, საცნობარო მასალები, ისტორიული აღწერები და მიმოხილვები, მიმოხილვითი მასალები დაკავშირებული რაიმე მოვლენასთან, პრობლემურ - თეორიული სტატიები და ა. შ.); და ბოლოს, პუბლისციტური მასალები სიტყვის უფრო ვიწრო მნიშვნელობით(პოლემიკური სტატიები, პამფლეტები, გამოსვლები და სხვა.).

თითოეულ ამ ჯგუფს აქვს თავისებურებები, რომლებიც თარგმნის სპეციფიურ სიძნელებებს ქმნის. პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია სპეციალური ტერმინოლოგიის, სხვადასხვა რეალიების, განსაკუთრებული მყარი შესიტყვებების სიუხვე. მთარგმნელმა უნდა იცოდეს თუ როგორ გააფორმოს მსგავსი დოკუმენტები.

მეორე ჯგუფში ბევრი სიტყვა და გამოთქმაა, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციასთან. თუ ისინი ეძღვნება რომელიმე ისტორიულ საკითხს, შეიცავს ბევრ ტერმინს, ისტორიულ რეალიებს, საკუთარ სახელებს და სხვა. ასეთი სტატიების თარგმნისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იცნობდე იმ საკითხს, რომელსაც ეძღვნება მოცემული სტატია. ხშირად ასეთი ტიპის სტატიებში მოცემულია შეფასებისა და პოლემიკის ელემენტები, ასევე ციტატები, სხვისი გამონათქვამები.

მესამე ჯგუფი გამოირჩევა ემოციურად შეფერილი ელემენტების შედარებითი სიუხვით, რომელშიც მოცემულია ავტორის გრძნობები და იწვევს ემოციებს მკითხველსა თუ მსმენელში. ესენია: სიტყვები დადებითი თუ ურაცოფითი სტილისტური მახასიათებლებით, ხატოვანი გამონათქვამები, სინტაქსური ფიგურები, ციტატები, ისტორიული მინიშნებები და სხვა. თარგმნისას აუცილებელია გამოხატო და გადმოსცე ტექსტის ყველა ეს ექსპრესიული თავისებურებანი.

პოლიტიკურ სტატიებში ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მიზნით ფრთოსანი გამონათქვამები, ციტატები. ყოველთვის უნდა მოიძებნოს ციტატის შესაბამისი თარგმანი. არ შეიძლება მთარგმნელმა თავისი სიტყვებით თარგმნოს ციტატა თუ ის რომელიმე ნაწარმოებთანაა ამოღებული.

რაც შეეხება გრამატიკულ თავისებურებებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს სინტაქსური ფიგურები, რომელებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ორატორის მეტყველებაში, მოწინავე სტატიაში, მიმართვებში, მისალმებებსა და სხვა მასალებში.

სინტაქსური ფიგურები ეფუძნება გრამატიკული კონსტრუქციების მსგავსებასა და სიტყვების გამეორებებს. მნიშვნელოვან სინტაქსურ ფიგურებს განეკუთვნება გამეორება, პარალელიზმი, ვარიაციები.

თარგმნისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ის განსხვავება, რომელიც არსებობს გამოსახატავ ცნებათა მნიშვნელობებში. ამას გარდა პუბლიცისტიკაში გამოიყენება ანტითეზა, რიტორიკული შეკითხვები და შეძახილები, რომლებიც თარგმნისას არ ქმნის პრობლემას.

Entente cordiale de façade entre Blair et Chirac - Le Figaro, 08.10.2005, Alain Barluet.

Union Européenne. Le premier ministre britannique, en visite hier à l'Elysée, et le président français ont mis de côté leurs différends en vue du prochain sommet des Vingt - Cinq.

Faute de pouvoir solder leurs différends, Jacques Chirac et Tony Blair ont cherché à positiver, hier, durant la grande heure d'entretien qu'ils ont eue à l'Elysée. La cordialité était de rigueur pour cette visite du premier ministre britannique destinée à préparer le conseil informel des Vingt - Cinq qui se tiendra à la fin du mois à Hampton Court, près de Londres. "Nous sommes déterminés à être une force d'harmonie pour l'Europe de demain" et "non une force de division", a déclaré, à l'issue de la rencontre, le président de la République qui se tenait au côté du chef de gouvernement britannique. Après le double non français et néerlandais à la Constitution et un Conseil européen qui s'est déroulé à couteaux tirés, en juin, les sujets qui fâchent ont été temporairement écartés.

En brefs. Arivées et départ.

1. Le président autrichien est arrivé à Tbilissi en visite officielle le 05 septembre 2004.
2. Le ministre de l'Éducation Nationale d'Inde arrive à Tbilissi sur l'invitation du Ministère de l'Éducation Nationale de Géorgie.
3. Le secrétaire général de l'O.T.A.N., est arrivé hier à Tbilissi, venant de Prague.
4. Le secrétaire général des Nations Unies est arrivé hier à Londres, par avion. Il résidera deux jours dans la capitale britannique.
5. Le président brésilien se rendra en visite officielle aux Etats - Unis le 9 avril prochain, annonce - t - on de source officielle. Le président brésilien a l'intention de visiter, à titre privé, différents centres industriels.

მოკლე შეტყობინებები

1. თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა აშშ - ს პრეზიდენტი.
2. ლონდონში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდნენ იტალიის პრემიერ მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი.
3. 2000 წლის 22 დეკემბერს ინდოეთში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა განის პრემიერ მინისტრი.
4. გუშინ მოსკოვში აშშ - ს ელჩთან სტუმრის სტატუსით ჩავიდა აშშ - ს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში ბატონი სმიტი მეუღლესთან ერთად.
5. ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა მიიწვია აშშ - ს პრეზიდენტი ლონდონში ამა წლის ნოემბრის ბოლოს. აშშ - ს პრეზიდენტს პასუხი არ მიუწერია მიწვევაზე.

Délégations.

1. Une délégation italienne de six membres est partie aujourd'hui de Rome pour Prague. Sous la conduite de l'attaché au ministère de la santé publique, la délégation visitera diverses installations sanitaires tchèques.
2. Une mission commerciale chinoise est attendue le 30 juin prochain en Belgique où elle restera environ deux semaines. Elle comprendra des spécialistes des industries métallurgiques, chimiques et alimentaires.
3. Le 15 septembre le ministre du Commerce extérieur est arrivé à Tbilissi à la tête d'une délégation gouvernementale de la République Tchèque.
4. Le 12 octobre, la délégation géorgienne à la session de l'Assemblée générale de l'O.N.U. prend l'avion pour New York.
5. Une délégation espagnole de trois membres est partie aujourd'hui de Madrid pour Paris.

დელეგაციები.

1. საქართველოს სამთავრობო დელეგაცია გაემგზავრა ნიუ - იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაში მინაწილეობის მისაღებად.
2. 30 ივნისს თბილისში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის კულტურის მუშაკები ედინბურგის უნივერსიტეტის რექტორის მეთაურობით. დელეგაცია ჩამოვიდა საქართველოს ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვევით.
3. ბუდაპეშტში გაემგზავრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის მინისტრის ხელმძღვანელობით. დელეგაციის წევრები მონაწილეობას მიიღებენ უნგრეთის სოფლის მეურნეობის კონფერენციაში.
4. საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია გაემგზავრა სტრასბურგში ევროპარლამენტის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.
5. თბილისში ჩამოვიდა გერმანიის სამთავრობო დელეგაცია.

La cérémonie d'investiture du nouveau président géorgien, M. Mikhaïl Saakachvili. Le 25 janvier 2004, Russie.net

Noëlle Lenoir, ministre déléguée aux Affaires européennes, représentera la France, dimanche 25 janvier, lors de la cérémonie d'investiture du nouveau président géorgien, M. Mikhaïl Saakachvili. Au cours de ce déplacement en Géorgie les 24 et 25 janvier, Mme Lenoir devrait s'entretenir avec M. Saakachvili, Mme Bourdjanadze, présidente du Parlement, M. Jvania, ministre d'État et M. Djaparidze, ministre des Affaires étrangères. A cette occasion, M. Alexandre Yakovenko fait le point sur les relations russo - géorgiennes: à la demande de Tbilissi, la Russie a accepté en mars 2001 de restructurer la dette géorgienne (157 millions de dollars) sur la base multilatérale dans le cadre du Club de Paris. La dette courante de la Géorgie envers la Russie représente 22,5 millions de dollars. La Russie considère sa coopération avec la Géorgie dans les secteurs électrique et gazier comme un facteur important de renforcement des relations bilatérales.

კომენტარები.

ფრანგულ პრესაში ინფორმაციის წყარო მოხსენებულია ინფორმაციის შემდეგ. ქართულ ვარიანტებში წყარო მითითებულია ან დასაწყისში ან შუაში.

თვეები. ფრანგულ ენაში გამოიხატება შემდეგნაირად:

დეკემბრის ბოლოს au début du mois de décembre

ოქტომბრის პირველ ნახევარში dans la première quinzaine d'octobre

სექტემბრის მეორე ნახევარში dans la seconde moitié de septembre

შუა ოქტომბერში à la mi - octobre

ნოემბრის ბოლოს vers la fin du mois de novembre, fin novembre

დროის მონაკვეთი. ფრანგულ ენაში დროის მონაკვეთი გამოიხატება შესაბამისი არსებითი სახელით, წინდებულით და რიცხვითი სახელით.

ორდღიანი ვიზიტი une visite de deux jours

სამკვირიანი მოგზაურობა un voyage de trois semaines

დელეგაციების შემადგენლობა და ხელმძღვანელები.

ა) დელეგაციის შემადგენლობაში ყოფნა:

la délégation comprend 4 personnes

la délégation est composé de 4 personnes - დელეგაცია შედგება 4 წევრისაგან ;
4 personnes font partie de la délégation

ბ) დელეგაციების ხელმძღვანელები

une délégation avec N à sa tête - დელეგაციას ხელმძღვანელობს N

une délégation avec à la tête N

une délégation N à sa tête

une délégation conduite par N

une délégation présidéé par N

ფრანგულ ინფორმაციაში ხშირად დელეგაციის ხელმძღვანელის გვარი მითითებულია პირველ ადგილზე. ასეთი ფორმის მიზანი არ არის დელეგაციის მეთაურის გამოყოფა, მას შეიძლება ქართულში შეესაბამებოდეს სიტყვათა ჩვეულებრივი რიგი. უნდა აღინიშნოს, რომ კრებითი სახელების შემდეგ არტიკლი არ გამოიყენება. მაგალითად:

ექიმების დელეგაცია une délégation de médecins

ქიმიკოსების ჯგუფი un groupe de chimistes

თანამდებობების დასახელება. ქართულში ჯერ მოიხსენება პიროვნების თანამდებობა და მერე მისი სახელი და გვარი, ფრანგულში კი პირიქით ხდება.

გამონაკლისს წარმოადგენს le maréchal, le général, რომლებიც ქართულის მსგავსად დაისმის საკუთარი არსებითი სახელის წინ. დანართში, როდესაც მოცემულია თანამდებობა ან წოდება, არტიკლი არ გამოიყენება. Monsieur N., premier ministre du Canada. არტიკლი აუცილებლად გამოიყენება სამინისტროებისა და მინისტრების დასახელებისას. „თავდაცვის მინისტრი“ - le Ministre de la Défense;

„ვაჭრობის სამინისტრო“ - le Ministre du Commerce. ფრანგულ ენაში სამინისტროების სახელწოდებანი იწერება დიდი ასოთი.

ეკვივალენტები

მაგალითად თვეებისა და დღეების, კვირების აღსანიშნად prochain მიუთითებს უახლოესს, ხოლო dernier - ბოლოს, გასულ თვეს, დღეს და ა.შ. მოცემული, კალენდარული დღეების, წლისა და კვირების ჩარჩოების დამუკიდებლად.

2006 წლის ოქტომბერში იტყვიან:

2006 წლის მარტი mars dernier
გასული წლის ნოემბერი novembre de 2005
მომავალი წლის მარტი mars de 2007
მიმდინარე წლის დეკემბერი décembre prochain

სიტყვა „მუშაკი“, ზოგადი მნიშვნელობით ითარგმნება travailleur. ზოგი სპეციალობის გამოხატვისას სიტყვა მუშაკი არ ითარგმნება. მაგალითად:

- პარტიული მუშაკი militant
- მეცნიერმუშაკი savant, chercheur, scientifique
- განათლების მუშაკი enseignants
- იუსტიციის მუშაკი juristes
- კოოპერატორი coopérateurs
- სოფლის მეურნეობის მუშაკი agriculteurs
- კინოს მუშაკი cinéaste
- პასუხისმგებელი მუშაკი responsable
- მუშაკები(რაიმე დაწესებულებაში) collaborateurs de...
- სამინისტროს პასუხისმგებელი პირები hauts fonctionnaires du ministère

იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია ერთი სიტყვის მოძებნა მოცემული ტიპის საქმიანობის გამოსახატავად, დასაშვებია შენარჩუნებულ იქნას სიტყვა travailleur - travailleur du commerce - ვაჭრობის მუშაკი, რადგანაც სიტყვა commercant მიგვიყვანდა შინაარსის დარღვევამდე.

სიტყვა „მოღვაწე“ ან ითარგმნება სიტყვა homme, ანდა ხდება მისი გამოტოვება.

- პარტიის, პროფკავშირის მოღვაწე militant, membre
- მეცნიერ მუშაკი savant, homme de science
- სახელმწიფო მოღვაწე homme d'État
- პოლიტიკური მოღვაწე homme politique
- საზოგადოებრივი მოღვაწე homme social
- ლიტერატურული მოღვაწე homme de lettres
- თეატრის მოღვაწე homme de théâtre
- კინომოღვაწე cinéaste
- კულტურის მოღვაწე homme de la culture
- ხელოვნების მოღვაწე artiste

ეპითეტები:

- გამორჩენილი მოღვაწე éminent, en vue
- ცნობილი მოღვაწე grand, célèbre, connu

ცნებები „გამორჩენილი“, „ცნობილი მოღვაწე“, შეიძლება ზოგჯერ ითარგმნოს ერთი სიტყვით personnalité. Une personnalité politique - გამორჩენილი პოლიტიკური მოღვაწე; hautes personnalités françaises - საფრანგეთის გამორჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები.

სიტყვა „président“, ქართულად ითარგმნება როგორც „პრეზიდენტი“ და „თავმჯდომარე“. თარგმნისას აუცილებელია იცოდეთ პიროვნების თანამდებობა.

ფრანგულ ენაში არსებობს მთელი რიგი გამოთქმები, რომლებიც შემოდის წინდებულთ sur. მაგალითად:

Sur l'invitation მოწვევით
Sur la proposition წინადადებით
Sur l'ordre ბრძანებით
Sur la permission ნებართვით
Sur la demande თხოვნით
Sur le conseil რჩევით
Sur l'initiative ინიციატივით
Sur la présentation წარდგენით
Sur la décision გადაწყვეტილებით
Sur la protestation პროტესტით
A l'exemple მაგალითით
A l'appel მოწოდებით

გამოთქმა „გავლით“ ფრანგულში შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვანაირად.

Arriver venant de... მატარებლით საიდანმე ჩამოსვლა

En se rendant à (en); venant de სადმე გავლით ყოფნა, როდესაც სადმე მიემგზავრები

Être de passage à...

Via - გავლით რომელიმე ქალაქის

ლექსიკა:

Visite ვიზიტი

Visite officielle ოფიციალური ვიზიტი

Visite non - officielle, privée არაოფიციალური ვიზიტი

Visite amicale, d'amitié მეგობრული ვიზიტი

Se rendre en (pour une)

visite officielle ოფიციალური ვიზიტით გამგზავრება

faire une visite სტუმრობა

rendre une visite à qn საპასუხო ვიზიტით ჩასვლა

résider, rester, séjourner სადმე ყოფნა, სტუმრობა

séjour სადმე ყოფნა

être attendu: M. N. est

attendu à ბატონ N - ს ელოდებიან...

pour les solennités

(les cérémonies) du X anniversaire ათი წლის იუბილეს აღსანიშნად

sommet სამიტი, უმაღლესი დონის შეხვედრა

investiture პრეზიდენტის ინაუგურაცია

დროის მონაკვეთი, რომელიც ეძღვნება რომელიმე მოვლენას ფრანგულში გადმოიცემა შემდეგნაირად. საზოგადო სახელებთან ყოველთვის დაისმის არტიკლი ან წინდებული: la journée internationale des femmes; le mois de l'amitié franco - géorgienne; le mois d'action contre le danger atomique; საკუთარი არსებითი სახელების წინ არტიკლი არ დაისმის.

სამშობლოში გამგზავრება. გამოთქმებში „სამშობლოში დაბრუნება“, ხშირად სიტყვა სამშობლო არ გამოიყენება. მისი ჩანაცვლება ხდება შესაბამისი ქვეყნის სახელწოდებით ანდა სიტყვით dans son pays. ზოგჯერ თარგმნისას ფრანგულ ენაზე ხდება მხოლოდ ფაქ-

ტის შეტყობინება, ისე რომ არ ხდება მიმართულების დაკონკრეტება. მაგალითად: La délégation a quitté Paris - დელეგაცია გაემგზავრა პარიზიდან სამშობლოში.

Au nom de ... - ვინმეს ან რაიმეს სახელით

Échanger - გაცვლა

Échanger des vues(des opinions) - აზრთა გაცვლა

Échanger des discours - მოხსენებების გაცვლა

Échanger une poignée de main - ურთიერთ ხელის ჩამორთმევა

Échanger l'expérience - გამოცდილების გაზიარება

აღსანიშნავია, რომ ზმნა échanger - ს შემდეგ არტიკლი არ გამოიყენება.

ზმნა saluer ნიშნავს მისალმებას, ან დამშვიდობებას. თარგმნისას უნდა მოხდეს მისი დაკონკრეტება.

ლექსიკა

Saluer - მისალმება, დახვედრა, გაცილება

Accueillir - დახვედრა, მიღება

Accueillir à la descente d'avion (sur l'aérodrome) - აეროდრომზე დახვედრა

Accompagner - თანხლება, გაცილება

Personnes qui l'accompagnent - მისი თანმხლები პირები

S'entretenir avec qn - ვინმესთან საუბარი

Organisations sociales de masses (massives) - მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები

Une brève allocution - მოკლე მოხსენება

Escale - გზაში ხანმოკლე შეჩერება

Faire escale - დროებით დაშვება; პორტში შესვლა

საკარჯიშოები

I. ლექსიკონით განსაზღვრეთ ზმნა „engager“ - მნიშვნელობა და თარგმნეთ ქართულად.

1. Cette proposition n'engage à rien.
2. Il fut engagé comme simple ouvrier.
3. On l'engagea à participer à la discussion.
4. Après la guerre beaucoup de peuples coloniaux se sont engagés sur le chemin de libération.
5. La compagnie a engagé dans cette opération ses dernières ressources.

II. მოცემულ წინადადებებში განსაზღვრეთ ზედსართავის „vif“, მნიშვნელობა. თარგმნეთ წინადადებები ქართულად.

1. Les discussions à l'Assemblée Générale de l'ONU ont suscité de vifs échos dans tous les pays.

2. Le projet de loi proposé par le gouvernement souleva une vive discussion au Parlement.

3. Les travailleurs ont manifesté un vif désir de participer à la campagne d'union des forces démocratiques entreprise par le MPP.

4. Les manifestants portaient des drapeaux aux couleurs vives qui flambaient sous le soleil tropical.

III. ქართულად თარგმნეთ შემდეგი წინადადებები და გამოიყენეთ სიტყვები „მოღვაწე“ და „მუშაკი“.

Parmi les hôtes étrangers qui séjournèrent en Géorgie au cours de l'année sur l'invitation de diverses organisations et en touristes, on notait: des agriculteurs roumains, des hommes de la culture d'Autriche, des militants en vue du parti travailliste de Grande - Bretagne, une délégation du monde culturel de la Bolivie, une délégation de coopérateurs hongrois, une délégation de personnalités sociales d'Italie, une délégation de personnalités bulgares, une délégation de militants du Parti dirigeant polonais, une délégation d'intellectuels de Pérou.

IV. თარგმნეთ სიტყვა „effectuer“ სხვადასხვა გამოთქმებში:

Effectuer un séjour privé. Effectuer un voyage de trois jours. Effectuer une escale(à Rome); effectuer des recherches scientifiques; effectuer un projet; effectuer un paiement; effectuer une promesse.

V. თარგმნეთ ფრანგულად:

1. ბატონი სმიტი ეწვევა პარიზს ნოემბრის პირველ ნახევარში;
2. საქართველოს დელეგაცია გაემგზავრება რომში ნოემბრის ბოლოს;
3. დღეს დღის მეორე ნახევარში ბატონ ვენსანს ელოდებიან ლონდონში;
4. ამ შაბათს ბატონი X გაემგზავრება თვითმფრინავით ჰააგაში;
5. აპრილის დასაწყისში ბატონი X დაბრუნდება ლონდონიდან პარიზში;
6. გასულ შაბათს, ბერლინში გავლით ყოფნისას, ბატონმა X განაცხადა...

Les Médias

En France, la liberté d'expression est un droit. L'article 11 de la Déclaration des droits de l'homme et du citoyen dispose que tout citoyen peut « parler, écrire, imprimer librement, sauf à répondre de l'abus de cette liberté dans les cas déterminés par la loi ». Sans liberté de la presse, il ne peut y avoir de démocratie. Pourtant la conquête de cette liberté n'alla pas sans heurts...

La presse quotidienne nationale.

La plupart des journaux sortent le matin : seuls Le Monde et La Croix paraissent l'après - midi. Ils ont, dans l'ensemble, renoncé à afficher une couleur politique tranchée. Le ton général est devenu plus neutre, à l'exception de l'éditorial et des pages "opinions".

La presse quotidienne d'opinion, si puissante avant - guerre, a quasiment disparu: demeurent La Lettre de la Nation, organe du Rassemblement pour la République(RPR), L'Humanité, fondée par Jean Jaurès en 1920, organe du Parti communiste français. Présent, tribune de l'extrême droite, et La Croix-L'Événement. Ce quotidien catholique appartient au premier groupe français de presse religieuse, Bayard Presse, mais il est plus un quotidien d'informations générales qu'un quotidien d'opinion à proprement parler.

Les titres phares de la presse quotidienne d'informations dite "de qualité" sont Le Monde, Le Figaro et Libération. Malgré un tirage en baisse continue, leur influence demeure réelle et forte sur l'opinion et sur les autres médias. Leur tirage global(850 000 exemplaires environ) est pourtant inférieur à celui des autres grands journaux européens...

La presse quotidienne régionale.

Cette presse a mieux résisté à la crise que la presse nationale. Elle bénéficie souvent d'une situation d'exclusivité territoriale et donc d'un marché publicitaire protégé; ses informations de proximité et de services, ses pages locales la protègent de la concurrence de la radio et de la télévision...

L'économie de la presse.

En 1945 - 1946, 179 titres, nationaux et régionaux, et millions d'exemplaires se vendaient chaque jour. En 1993, ne paraissaient plus que 75 titres vendus à moins de 9 millions d'exemplaires. La presse écrite française occupe la vingt - cinquième place dans le monde, le septième en Europe. Seulement 41% des Français de plus de quinze ans lisent un quotidien tous les jours ou presque, contre 55% il y a vingt ans...

La presse hebdomadaire.

La presse magazine, pour sa part, est très dynamique. Avec 1 354 exemplaires vendus pour 1000 habitants, les Français sont les premiers lecteurs de magazines dans le monde...

Les agences de presse.

Journaux, télévisions et radios ne pourraient fonctionner sans les agences de presse. Celles - ci sont les "grossistes de l'information": elles fournissent aux organes de presse et aux insti-

tutions des informations de toutes natures - textes, photos, graphiques - moyennant un abonnement dont le cout varie en fonction du tirage ou de l'audience. Dans certains journaux, plus de 80% des informations publiées proviennent d'une ou de plusieurs agences de presse...

L'explosion de l'audiovisuel.

La presse écrite a reculé devant la montée de l'audiovisuel et, dans une moindre mesure, devant le livre qui s'est emparé de l'histoire immédiate, traditionnelle chasse gardée de la presse. En 1993, les Français passaient en moyenne 3h 39 par jour devant la télévision, alors qu'ils ne consacraient que 36 minutes à la lecture de la presse...

Le conseil supérieur de l'audiovisuel est chargé de contrôler le respect par les entreprises de radio et de télévision de leurs obligations légales. Il lui revient également d'attribuer les fréquences, de nommer les présidents des chaînes publiques, de donner un avis lorsque le gouvernement ou le Parlement le lui demande. Il doit assurer le respect du pluralisme politique, favoriser le libre concurrence, veiller à la protection de l'enfance et défendre la langue française. Il est doté par la loi d'un pouvoir de sanction(amendes, suspension de diffusion, etc.)...

La multiplication des chaînes de télévision.

Depuis 1982, il est possible de créer des télévisions et des radios privées. En dix ans, l'offre française est passée de trois chaînes à plus de trente(câbles compris). L'audiovisuel est entré ainsi dans l'ère de la concurrence...

Contrairement aux analyses les plus pessimistes, la radio n'a pas reculé en France devant la télévision. Au contraire, la multiplication des radios, rendue possible par la loi de 1982, et leur diversité, ont donné "un coup de fouet" à ce support et fait de la radio le média préféré des Français, sauf en soirée où la télévision arrive en tête. Tous âges confondus, les Français écoutent la radio 1h 15 par jour en moyenne...

L'action audiovisuelle extérieure de la France.

La France a été l'un des premiers pays à exercer une véritable diplomatie culturelle par le biais des écoles, des centres culturels, des Alliances françaises, de la coopération scientifique et technique. Aujourd'hui, elle passe également par l'action audiovisuelle extérieure pour laquelle le gouvernement a adopté en avril et septembre 1994 un plan de cinq ans qui devrait permettre le développement des grands canaux de communication mondiaux que sont TV5, Canal France International, Radio - France Internationale et les filiales radiophoniques de la SOFIRAD qui regroupe les participations de l'État dans les entreprises audiovisuelles.

RFI, la voix de la France à l'étranger.

Autre pilier de l'action audiovisuelle extérieure, Radio - France Internationale(RFI) est la voix de la France à l'étranger. Cette voix se fait depuis 1931. RFI est aujourd'hui une radio aux programmes multiples qui utilise tous les moyens de diffusion et dont les journalistes ont su faire la preuve de leur indépendance...

ლექსიკა

Journal გაზეთი

lancer un journal გაზეთის გამოშვების დაწყება

faire paraître un journal გაზეთის გამოშვება

diffuser un journal გაზეთის გავრცელება

suspendre un journal დროებით გაზეთის აკრძალვა

(faire) saisir un journal გაზეთის კონფისკაცია

le journal informe, communique,

mande, annonce გაზეთი იტყობინება

le journal fait connaître გაზეთი გვამცნობს

le journal prend à partir, attaque გაზეთი თავს ესხმის

article სტატია

article de tête, de rédaction, de fond, éditorial, leader მოწინავე სტატია

faire paraître, publier,

insérer un article სტატიის გამოქვეყნება

l'article porte sur qch, touche qch,

est consacré à qch სტატია ეძღვნება

lutte ბრძოლა

lutte acharnée, énergique გადამწყვეტი ბრძოლა

lutte (à main) armée შეიარაღებული ბრძოლა

poursuivre, mener une lutte ბრძოლის წარმოება

engager une lutte ბრძოლის დაწყება

გამოხატვის საშუალებები

ა) წყაროს მინიშნება.

Comme l'écrit le journal, selon le journal, d'après le journal - როგორც გაზეთი იტყობინება

selon l'agence N - სააგენტოს შეტყობინებით

l'agence N. informe(annonce) de... - სააგენტო X იტყობინება

notre envoyé spécial - ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება

mande(câble) de... on informe(apprend) de source certaine - ავტორიტეტული წყაროებ-

ზე დაყრდნობით

(bien informée, officieuse) que...

comme l' a dit N - როგორც X თქვა

selon le(s) mot(s) de N. - X თქმით

d'après l'expression de N. -X თქმით

წლისთავი გამოიხატება ფრანგულად სიტყვით anniversaire.

მაგალითად:

dixième anniversaire - ათი წლისთავი

vingtième anniversaire - ოცი წლისთავი

cinquantième anniversaire, cinquantaire - ორმოცდათი წლისთავი

centième anniversaire, centenaire - ასი წლისთავი

deuxième centenaire, bicentenaire - ორასი წლისთავი

troisième centenaire, tricentenaire - სამასი წლისთავი
millénaire - ათასი წლისთავი
fêter(célébrer) l'anniversaire - წლისთავის აღნიშვნა
marquer l'anniversaire - წლისთავის აღნიშვნა
célébrer le centenaire de la naissance de N X - დაბადებიდან ასი წლისთავის აღნიშვნა
commémorer le cinquantenaire de la mort de N X - გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლისთავის აღნიშვნა

ფრანგულ ენაში სიტყვა „nation“ ნიშნავს არა მარტო „ნაციას“, არამედ ერს, ქვეყანას, სახელმწიფოს. ამგვარად სიტყვა „nation“ ნიშნავს ერთგვარ პოლიტიკურ მთლიანობას, რომელიც ერთი მხრივ უპირისპირდება ადგილობრივს, მეორე მხრივ ანალოგიურ წარმონაქმნებს.

ამის შესაბამისად თვით ზედსართავი სახელს national აქვს მნიშვნელობა: ნაციონალური, ხალხური, ზოგადსახელმწიფოებრივი მთელი ქვეყნის მასშტაბით (ლოკალურის ადგილობრივისაგან განსხვავებით) და სამამულო, პატრიოტული(იმისგან განსხვავებით, რაც სხვა ქვეყნებს განეკუთვნება).

თარგმნისას ყოველთვის უნდა გამოვხატოთ ამ სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა.

national - ზოგადსახელმწიფოებრივი, საერთოფრანგული (საფრანგეთისათვის)

une route nationale - ნაციონალური გზა, ანუ ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, რაც განსხვავდება route départementale - ადგილობრივი მნიშვნელობის გზა.

chaîne nationale ფრანგული - რადიომაუწყებლობა, რომელიც განსხვავდება

chaîne parisienne - პარიზის რადიომაუწყებლობისაგან

sur le plan national - მთელი ქვეყნის მასშტაბით

conférence nationale – ნაციონალური (ეროვნული) კონფერენცია

Assemblée nationale - ეროვნული კრება, ანუ კრება რომელიც მთელი ქვეყნის წარმომადგენლებს მოიცავს.

ეს ტერმინი ითარგმნება სხვადასხვანაირად, ქვეყნის მიხედვით.

économie nationale - ნაციონალური ეკონომიკა

national - სახელმწიფოებრივი

le Ministère de la Défense nationale - სახელმწიფო თავდაცვის სამინისტრო

Société nationale de Chemins de Fer - რკინიგზის ნაციონალური კომპანია

intérêts nationaux - სახელმწიფო ინტერესები

national - ნაციონალური, პატრიოტული

Guerre nationale - სამამულო ომი

forces nationales - პატრიოტული ძალები

გამოთქმა avec éclat გამოხატავს მოქმედების ინტენსივობას და ითარგმნება სხვადასხვანაირად, იმის მიხედვით თუ რომელ ზმნას განეკუთვნება. échouer avec éclat - დიდი ხმაურით ჩაფლავება, monter avec éclat - დამაჯერებლად ჩვენება. fêter avec éclat - საზეიმოდ აღნიშვნა.

ფრანგული არსებითი სახელები ხშირად გამოიყენება მრავლობით რიცხვში, რითაც იღებენ კონკრეტულ მნიშვნელობას. ქართულად თარგმნისას რა თქმა უნდა უარი უნდა ვთქვათ მრავლობითი რიცხვის გამოყენებაზე, ანდა შევცვალოთ სიტყვის ეკვივალენტი სხვა სიტყვით.

les calomnies réactionnaires - რეაქციის ცილისწამება

les industries - მრეწველობის დარგები

les libertés - დემოკრატიული თავისუფლებანი

les bonnes volontés - კეთილი ნების ადამიანები (les personnes de bonne volonté).

საქარჯიშოები

თარგმნეთ წინადადებები და გამოყოფილი არსებითი სახელები გადმოეცით მხოლოდით რიცხვში:

1. Le Conseil National demande à tous les patriotes de dépenser dans cette campagne plus d'efforts encore, encore plus d'initiatives, plus de dévouement.
2. On peut écarter à jamais la guerre et mettre au service du progrès humain toutes les énergies, toutes les ressources. On peut obtenir un nouvel et puissant essor des forces productives en mettant à profil le développement inouï atteint par les sciences et les techniques.
3. Les nationalisations stimuleraient la reprise économique... La nationalisation des banques, des assurances, des houillères... permettrait de rationaliser et de développer la production.
4. À l'Assemblée nationale le député socialiste appelle le peuple de France à continuer la lutte pour les libertés et la paix.
5. Un grand nombre d'industries françaises ont dû réduire leur production.
6. Le Conseil National de la Paix forme le vœu que l'on organise et entraîne dans le mouvement toutes les bonnes volontés.

თარგმნეთ წინადადებები, რომლებიც შეიცავენ სიტყვას “nation”:

1. Pour décider sa politique le président de la République doit consulter toute la nation.
2. Le principe de veto à l' ONU a pour but d'empêcher qu'une nation impose sa volonté à d'autres nations.
3. Le UMP a lancé son appel à toute la nation, à tous les hommes de bonne volonté.
4. Les réactionnaires oublient les belles traditions démocratiques de la nation française.

ინტერნაციონალიზმების თარგმნა.

ფრანგულ და ქართულ ენებში არსებობს საერთაშორისო ლექსიკის მნიშვნელოვანი პლასტი, განსაკუთრებით პოლიტიკური და სამეცნიერო ტერმინოლოგიის სფეროში. მსგავსი სიტყვები ენებში შემოვიდა ნასესხობების შედეგად. მათი წყარო ბერძნული და ლათინური ენები იყო. მიუხედავად მსგავსებისა და მნიშვნელობათა თანხვედრისა, არასწორი იქნება გამოვიყენოთ ერთი და იგივე ინტერნაციონალური სიტყვა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას. ამან შეიძლება გამოწვიოს სტილიტური შეცდომები.

მაგალითად: სიტყვას charge აქვს უამრავი მნიშვნელობა ფრანგულ ენაში.

ესენია: მუხტი, ტვირთი, შეტევა, კარიკატურა, შარჟი. არასწორი იქნებოდა სიტყვა charge გვეთარგმნა ყოველთვის სიტყვა შარჟით.

სესხებისას სიტყვამ შეიძლება შეიცვალოს სტილისტური შეფერილობა. მაგალითად სიტყვა ქართულში „პრობლემა“ მეცნიერულ - პოლიტიკური ტერმინია. ფრანგული სიტყვა problème გარდა პრობლემისა, ნიშნავს ასევე მარტივ არითმეტიკულ ამოცანას. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე თუ განვიხილავთ სიტყვას délicat. მაგალითად: Elle a une santé délicate - მას სათუთი ჯანმრთელობა აქვს და არა დელიკატური, რადგან ამ

სიტყვამ შეიძლება ირონიის, ფამილარულობის ნიშანი შესძინოს. ზოგიერთ ინტერნაციონალურ სიტყვას შეიძლება სხვადასხვა ენაში ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ მაინც უმჯობესი იქნება თუ გამოვიყენებთ სინონიმს, თუკი მოცემულ კონტექსტში ის უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე უცხოური წარმოშობის სიტყვა. მაგალითად:

réaliser un plan უმჯობესია ვთარგმნოთ არა როგორც „გეგმის რეალიზება“ არამედ „გეგმის განხორციელება“.

საერთაშორისო სიტყვების თარგმნისას საჭიროა გავითვალისწინოთ სიტყვათა შეთანხმება სხვადასხვა ენებში. მაგალითად une situation dramatique უნდა ითარგმნოს როგორც „ტრაგიკული სიტუაცია“ და არა როგორც „დრამატული სიტუაცია“;

ანტონიმური თარგმნა. ბევრ შემთხვევაში კონტექსტუალური ეკვივალენტი შეიძლება განსაზღვრულ იქნას ანტონიმური თარგმანის მეშვეობით, რომლის დროსაც გამოიყენება სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ორიგინალის სიტყვების მნიშვნელობებს ეწინააღმდეგება. არსებობს ანტონიმური თარგმნის ორი ტიპი:

ა) სიტყვათა და გამოთქმების შეცვლა ანტონიმებით;

... l'accentuation de la détente internationale... ითარგმნება „საერთაშორისო დაძაბულობის შესუსტება“.

ბ) დადებითი ფორმის გამოყენება უარყოფითის ნაცვლად და პირიქით. მაგალითად: Aucune grande grève ne s'est déroulée en France au cours des dernières années sans que ce journal ne lui accorde son soutien - ეს გაზეთი მუდმივად უწევდა მხარდაჭერას ყველა მსხვილ გაფიცვას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთში ბოლო წლებში. უარყოფითი ფორმის გამოყენება ძალზე დაამძიმებდა მოცემულ წინადადებას.

სხვისი მეტყველების შემოყვანა. ფრანგულ და ქართულ ენებში სხვისი მეტყველების ციტირება და გამოხატვა განსხვავდება. მაგალითად: souligne l'éditorial du "Times" - ხაზგასმულია გაზეთ „თაიმის“ მოწინავე სტატიაში.

ქართულში წინადადებას, რომელსაც სხვისი მეტყველება შემოყავს, ჩვეულებრივ აქვს უპირო წინადადების ფორმა. მაგალითად: „აღნიშნულია მოწინავე სტატიაში.“

ფრანგულში წინადადება, რომელსაც შემოყავს სხვისი მეტყველება, უმეტესწილად ღებულობს პირიანი წინადადების ფორმას, სიტყვა éditorial ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს. ფრანგულში ხშირად გამოიყენება უპირო წინადადებები ზმნა dire-ით. მაგალითად: il est tout dit dans l'article(dans la note) que; ...est - il dans cet article(cette note).

ყველაზე ხშირად გამოყენებული ზმნები, რომელთაც შემოყავთ სხვისი მეტყველება.

dire (notamment) – თქმა (კერძოდ)

signaler - აღნიშვნა

constater - კონსტატირება

souligner, mettre en relief - ხაზგასმა

faire remarquer, faire observer - აღნიშვნა

indiquer - მითითება

démontrer – ნათლად ჩვენება

préciser - დაზუსტება

poursuivre - გაგრძელება

exposer, faire état de - გამოხატვა

affirmer, soutenir - დამტკიცება

prétendre – მტკიცება (საკმარისი საფუძვლის გარეშე)

გამონათქვამის შინაარსის გამოხატვა.

ფრანგულში ხშირად იყენებენ წინდებლებს sur ანდა au sujet de. მაგალითად: une discussion sur qch, la déclaration sur qch; des accords sur qch.

proposition sur qch, informations sur qch, commentaires au sujet de qch.

დროის გამოხატვა.

cette année, l'année en cours - ამ წელს

l'an(l'année) prochain(e), l'année suivante - მომავალ წელს

l'année dernière, l'année passée - გასულ წელს

au cours de l'année écoulée - მიმდინარე წლის განმავლობაში

სიტყვა année, მრავლობით რიცხვში გამოიყენება წინდებულებით dans, au cours de:

dans ces années; alors - ამ წლებში

ces dernières années - ბოლო წლებში

dans les années à venir - მომავალ წლებში

dans les (au cours des) années de guerre - ომის წლებში

თუ გვსურს გამოვხატოთ წყობილება, მმართველობა, ისტორიული ეპოქა მაშინ სიტყვა année შეიძლება გამოტოვებულ იქნას. ამ შემთხვევაში გამოიყენება სტრუქტურა წინდებულებით sous .

sous la Résistance - წინააღმდეგობის წლებში

sous le pouvoir soviétique - საბჭოთა წლებში

à présent, présentement, actuellement, à l'heure actuelle - ახლა, ამჟამად

(très) prochainement, dans le temps le plus proche (à venir) - უახლოეს მომავალში

à notre époque, de nos jours, aujourd'hui - ჩვენს დროში

ეკვივალენტები

ქართულ ზმნას „წარდგენა“ სხვადასხვა კონტექსტში შეესაბამება ზმნები présenter, se présenter, représenter, se représenter.

présenter 1) გაცნობა, გაცნობა(ადამიანის, დოკუმენტის); présenter son ami à qn, présenter un projet, etc. 2) ზოგიერთ დამატებასთან მოცემული ზმნა ქმნის შესაბამის გამოთქმებს : présenter des avantages, des inconvénients; présenter des difficultés, présenter un grand intérêt.

se présenter გამოჩენა une occasion se présente

représenter 1) რაიმეს წარმომადგენლად ყოფნა: ce délégué représente la France; 2) წარმომადგენს: représenter à qn tous les dangers de la guerre.

se représenter წარმოდგენა(საკუთარ თავს წარმოუდგენს), se représenter l'étonnement de qn

შეტყობინება. ოფიციალური შეტყობინება, communiqué.

ინფორმაცია, შეტყობინება: information, communication. მაგალითად: პრესის ინფორმაციით, selon les informations de la presse; შეტყობინება, რომელიც მოდის X-იდან მოწმობს, რომ... les informations de N(provenant de N) témoignent de...

სიტყვა lendemain შედის ზოგიერთ გამონათქვამში Au lendemain de - მაშინვე, როდესაც... sans lendemain - უპერსპექტივო, გამოუვალი(იტყვიან ომზე ან პოლიტიკაზე).

სავარჯიშოები

თარგმნეთ წინადადებები ანტონიმური კონსტრუქციებით;

- 1.Les manoeuvres du gouvernement russe en vue de garder les bases dans d'autres pays ne cessent d'attirer l'attention mondiale.
- 2.Selon les journaux français, les propositions géorgiennes de développer les relations commerciales ne manquent pas d'intérêts pour les compagnies françaises.
- 3.On n'ignore pas que la puissance économique de l'Allemagne est beaucoup plus grande que celle de la France.

თარგმნეთ წინადადებები ზმნის „წარმოდგენა“ მეშვეობით.

1. ელჩმა წარუდგინა სახელმწიფო მეთაურს საელჩოს თანამშრომლები.
2. რომელ ორგანიზაციას წარმოადგენს ეს დელეგატი.
3. რას წარმოადგენს ახალი კანონპროექტი, რომელსაც იხილავს კონგრესი?
4. შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ საკითხის გადაწყვეტის მთელი სირთულე.
5. კოსმოსში გაფრენა დიდ სირთულეს წარმოადგენს, მაგრამ დღეს ის უკვე რეალობაა.

ლექსიკა

titre - სტატიის სათაური

manchette – ქუდი (გაზეთში აკრეფილი მუქი შრიფტით)

titre en vedette - სათაური, რომელიც გამოსაჩენ ადგილასაა მოცემული

titrer - დასათაურება

en gros caractères - მსხვილი შრიფტით, მსხვილი ასოებით

dans les colonnes - სვეტებში

dans(sur) les pages - გვერდებზე

en première page - პირველ გვერდზე

bien en vue - გამოსაჩენ ადგილას

échos, répercussions - გამოძახილი

retentissements susciter, provoquer des échos - გამოძახილის გამოწვევა (ქართულად სწორი ფორმა იქნება, « გამოძახილის ქონა »)

des répercussions, vifs échos - მწვავე გამოძახილი

observateur, commentateur - მიმომხილველი

les commentateurs unanimes constatent - მიმომხილველები ერთხმად აღიარებენ

tension - დაძაბულობა

accentuer la tension internationale - საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება

affaiblir, atténuer, diminuer - საერთაშორისო დაძაბულობის შესუსტება

la tension internationale - საერთაშორისო დაძაბულობა

détente internationale - საერთაშორისო დაძაბულობის შესუსტება

action, lutte, combat - მოქმედება, ბრძოლა
 actions militaires, hostilités - საომარი მოქმედებები
 attention - ყურადღება
 prêter attention à - ყურადღების მიპყრობა
 réserver, apporter, accorder
 son attention à - ყურადღების მიპყრობა
 faire attention à - ყურადღების მიპყრობა
 fixer, concentrer son attention sur qch - ყურადღების კონცენტრირება
 arrêter, centrer, attirer l'attention de qn sur qch - ყურადღების მიზიდვა
 milieux - წრეები
 milieux sociaux - სოციალური წრეები

მოკლე შეტყობინებები.

1. Le premier britannique part vendredi prochain pour la France, où il aura des entretiens avec le premier français sur la situation.

Ils s'entretiendront également des perspectives des relations entre deux pays.

2. De nouveaux entretiens ont eu lieu hier à Ottawa entre le président américain et le premier ministre canadien.

Ils ont porté sur les problèmes économiques et commerciaux, qui suscitent de sérieuses difficultés entre les deux pays.

3. Le premier ministre des Pays - Bas arrive à Paris où il aura des conversations avec le président de la République.

4. À Pékin, clôture des pourparlers sino - afghans portant sur différentes questions intéressant les deux pays et des problèmes internationaux.

5. Arrivée à Tbilissi d'une délégation grecque présidée par le directeur général du Ministère du Commerce, en vue de négociations commerciales.

6. Une délégation économique gouvernementale de l'Espagne avec, à sa tête, le premier vice - président du Conseil des ministres est arrivée à Tbilissi pour négocier sur des questions économiques et commerciales.

კომენტარები

ზოგჯერ ლექსიკონი არ იძლევა საჭირო ეკვივალენტს მოცემული კონტექსტისათვის. იმისათვის, რომ მოვახდინოთ სწორი თარგმანი საჭიროა შევცვალოთ სიტყვათშეერთების ერთ - ერთი კომპონენტი მისი კონტექსტუალური სინონიმით და სიტყვასიტყვით გადავთარგმნოთ იგი.

მაგალითად: წინადადება - ფრანგული პრესა ყოველთვის მრავალრიცხოვანი იყო - შეიძლება ვთარგმნოთ შემდეგნაირად - Les publications françaises étaient toujours nombreuses et variées.

წამყვანი როლი - le rôle le plus important (principal, primordial)

გაზეთი სარგებლობს დიდი პოპულარობითა და გავლენით - le journal jouit d'une grande popularité et influence; უფრო გავრცელებული ფორმა: le journal est très répandu (beaucoup lu), très influent.

პროგრესულ გამოცემათა რიცხვს ეკუთვნის - Parmi les publications progressistes on trouve...figurent... on peut citer...

თარგმანში დასაშვებია სიტყვების გამოტოვება. ეს ხდება მაშინ, როდესაც ენის სტილის მიხედვით ისინი შეიძლება მიჩნეულ იქნას ზედმეტად.

ყოველდღიური გაზეთი - un quotidien

ყოველკვირეული გაზეთი - un hebdomadaire

თუ კი ფრანგულში შეიძლება იქნას ნაწარმოები რთული ზედსართავი, მისი გამოყენება უნდა მოხდეს ქართული ერთეულის სათარგმნად. მაგალითად: Une revue politico-littéraire-პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურნალი

ფრანგულში თავისუფლად შეიძლება ვაწარმოოთ რთული ზედსართავები:

ფრანგულ - ქართული - franco - géorgien

